№ 170

თშაბათი, 9 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

მან. კ.	თვე	მან. კ.
10 —	6	6 —
9 50	5	5 50
8 75	4	4 75
8 —	3	3 50
7 25	2	2 75
6 50	1	1 50

ალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 170

ხუთშაბათი, 9 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ირველი კერძო
სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

ი, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. ტაქრო, ვენერიული (სიფილი- და საშარდეს ავადმყოფობანი.

მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. ებანი: თვალისა, შინაგანი და ისა.

ი. ბაბანასიანცი. დილის 11 საათ. ქალთა და ბავშვთა სე- ავადმყოფებს.

ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. სა, ყელისა, ცხვირის ავადმყო- ბა.

3. [illegible]აპეტიანცი. 1—1½ ს. ანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. ურგო და კანისა.

ა. თარხანოვი. შინაგან და ისავადმყოფობისა, 7—8 ს. აცრის ყვავილს კვირაობით 10 საათ.

ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. -დარიგებისა და რეცეპტების დაწე- ისი ათი შაური. ღარიბთათვის უფა- ფასი კონსილიუმისა და ოპერაციები- —მორიგებით.

ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. თეებს სახლში მსურველთ „მას-“, აცრის ყვავილს და გამარ- საექიმო გემნასტიკას ექიმის მენით.

ქტორი სამკურნალოსი დოქ- რი მედიცინისა ნავასარდიანი.

ервая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
лисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის
დირექტორი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ მოსწავლეების მიღება **უმცროს განყოფილებასა** და ახლად გახსნილ მოსამზადებელ კლასის **საშუალო განყოფილებაში** მოხდება 1901—1902 სამოსწავლო წლის 28 და 31 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლისანი უეგზამენოთ, საშუალოში—8—10 წლისა ეგზამენით.

თხოვნები მიიღება ორშაბათობითა, ოთხშაბათობითა და შაბათობით 10-დგან 1 საათამდე სასწავლებლის სადგომში. თხოვნას უნდა ახლდეს მოწმობანი დაბადებისა, წოდებისა, ყვავილის აცრისა და მათი პირები. უამ მოწმობებოდ თხოვნები მიღებული არ იქმნება.

მე-2 და 1 კლასებში და უფროს მოსამზადებელში, თავისუფალ ვაკანსიის უქონლობისა გამო, მოსწავლეებს არ მიიღებენ.

(6—6.—2)

ტფილისის კერძო
სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ზ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

ზ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ტფილისი, აგვისტოს 9.

ღვთივ ცხონებულ საქართველოში რო სარწმუნოება დაეცა და ზნეობა გაიხრწნა, არა თუ ჩვენში, რუსეთშიაც კი შენიშნეს. ჩვენი ხალხის გულშემატკივარნი როგორც იქ, ისე აქ დაუფიქრდნენ ამ სამწუხარო ამბავს და დარწმუნდნენ, რომ მისი შველა ყოვლად შეუძლებელია, თუ ივერიის ეკლესიის ყოფა და მის საქმეთა გამგეობა ძირეულად არ შეიცვალა ხალხის სულიერის ცხოვრების საჭიროებისა და მოთხოვნილების კვალობაზე.

სწორეთ ასეთი აზრი ჰქონდა ბ. ნ. დურნოვოს წერილს „ქართველთა ერის დასაცველად“ გამოქვეყნებულს (С. Петербургскія вѣдомости-ს გაზეთში № 140. მაგრამ ამ სიმართლის მღაღადებლისაგან გულგანგმირული ერთი ვიღაც გრუზინი (ფსევდონიმი) იმავე გაზეთში № 201 გამომდგარა და რუსეთის საზოგადოების წინაშე „სინანულით“ ამტკიცებს, „რასაც ბ-ნი დურნოვო ჰსწერს საქართველოს ეკლესიის გამგეობისას, წყალობითა ღვთისათა სულ არ არი ნამდვილიო.“ ეს რომ არ იკმარა, საქართველოს ისტორიას გადაჰსწვდა, თავისი განზრახვის გასამართლებლად საბუთები და ამბები გააუკუღმართა და „სრულიად მკითხველი რუსეთი“ მოაღორა, როცა მოჩმახა: „ივერიის ეკლესია თუმცა თავის თავადი (ავტოკეფალი) იყო, მაგრამ მუდამ აღმოსავლეთის პატრიარქთა პროტექტორატის ქვეშე იმყოფებოდა და საქართველოს რომ უფრო მალე შემოეერთებინა კავკასიის არა ქართველი ტომები, თავის ენას ავრცელებდა მათ შორის და თავის ხელქვეეთ მართლმადიდებელ ხალხებს არ აძლევდა შეძლებას თავიანთ დედაენაზე ეთარგმნათ სალვთო წერილი და ღვთის სავედრებელი წიგნებიო.“ ყოველმა ჩვენის ისტორიის მცოდნე ქართველმა და არა ქართველმა კარგად იცის, რომ ვახტანგ პირველმა თავისი მოძღვარი მიქელ ეპისკოპოსი ურჩობისა და წინააღმდეგობისათვის გაგზავნა კონსტანტინეპოლს, სადაც გენადი პატრიარქმა პატიმარ ჰყო იგი და მის მაგიერ ივერიის ეკლესიის მამამთავრად გამოგზავნა პეტრე-მთავარ-ეპისკოპოსი, რომელსაც ეწოდა კათალიკოსი სრულიად ივერიისა და ავტოკეფალოსი, ე. ი. თავის თავადი ანუ დამოუკიდებლივ გამგებელი, რომლის მემკვიდრენი, როგორც თავისუფალის ეკლესიის წარმომადგენელნი, მსოფლიო კრებას ესწრებოდენ, სადაც-კი იმართებოდა, აღმოსავლეთსა, თუ დასავლეთში. იცის აგრეთვე, რომ საქართველოში ისეთი პროვინციები, სადაც ტომით არა ქართველი ხალხი სახლობდა, აფხაზეთი და ოსეთი იყო. პირველ პროვინციაში, სადაც დიდ-კაცობა მუდამ წმინდა ქართველობა იყო და დარჩა და სადაც, როგორც თვით გრუზინიც ბრძანებს, „ბიჭვინტის გარემოს ჰყვაოდა მდიდარი ქალაქები და სოფლები ქართველთ ტომებისა“, რა საკვირველია, წირვა-ლოცვა ყოველთვის ქართულად იყო და სიმართლით დღემდისაც უნდა დარჩენილიყო, რადგანაც ქართველები—მეგრელები — ცხუმის ეპარქიაში მართლა დიდ-ძალ რაოდენობას შეადგენენ და არა იმიტომ, ვითომც ქართველობა იქ მხოლოდ 7000სული იყო,სროგორც მამა ნიკოლოზს უამბნია ჩვენი მოკეთისთვის. ან ვითომც „ზოგიერთ ქართველებს, როგორც გრუზინი ბრძანებს, ჰსურდესთ დაიბრუნონ ადრინდელი დრო, როცა აფხაზეთი პოლიტიკურად და კულტურით საქართველოს ემორჩილებოდა.“ მეორე პროვინციაც ნახევრად გაქართველებული იყო,დინა-

ფელეტონი

პეპო ხონში.

ლი მარგალიტი, სადაც უნ- ულს, თვისს ღირსებას არ და- ავს. გინდ მდიდრის ფარჩა- ზე ეკეროს და გინდა ღარიბის ზე...

ონს, 25 ივლისს, სახალხო თე- სცენის მოყვარეებმა „პეპო“ მოდგინეს და მეც შემთხვევით დამსწრეთაგანი ვიყავ.

ნგლები საზოგადოდ ტიპიური ლები არიან: სიცოცხლით სავ- ცოცხლი, მოძრავი და სხაპა- ით მოლაპარაკე და „პეპოში“ ელები არიან დასახული, ო და ენაპრტყელები. როგორ ხებენ იმათ გამოხატვას სცე- მოყვარეები, მაშინ როცა ზოგს ს სოფლიდან ფეხი არ გად- ავს და არა თუ ქალაქელი და კინტოები, თვით ქალაქიც კი თვალით არ უნახავს? ვფიქრობდი გუნებაში, მაგრამ შევსცდი. თვით ჩვენი საყვარელი სათნო ავტორიც რომ დასწრებოდა წარმოდგენას, უეჭველია იტყოდა: ესენი ხომ ნამდვილი ჩემი ნათლულები არიან, მაგრამ ე რა სხვანაირად უქცევენ კილოს?

„პეპოს“ როლს თამაშობდა ერთი ადგილობრივი შუახნის მკურნალი და უმეტესობა უფრო მის სცენაზე სანახავად წავიდა. და მიტომ კი არა, რომ ის გათქმული არტისტი იყოს!.. მხოლოდ მიტომ, რომ ეუცხოვათ!

და მართლაც, საუცხოებელი იყო: ამ ჩვენ გუდა-ტიკჭორობის დროს სხვები, მისთანა ვინმეები, არ კადრულობენ მონაწილობის მიღებას, რომ დარბაისლობას არ უღალატონ. მათის აზრით, ამისთანა წვრილმანი საბურჭალო რამეები, გინდ საქველ-მოქმედო მიზნითაც იყოს გამოწვეული, არა ღირს საყურადღებოდ. სალიტერატურო საღამოები, წარმოდგენები, სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეების გამო კრებები, მათთვის მეტი ბარგია. იმათ არცა სცალიათ მათთვის, თავისი საკუთარი საქმეც ბევრი აქვსთ: ავათმყოფებს მაჯას უსინჯვენ, ენას აყოფინებენ და ჯიბეებს უბერტყენ, ანდა მსუქან-მსუქან კლიენტებსა სთლიან უდანოდ. და თუ მოსამსახურე პირები არიან, მაშინ ხომ კიდევ უარესი: თავ-კოტოშა ინდოურებივით იბერებიან, ფრთების დაბლა ხოხიალით კუდს მარაოდ შლიან და მედიდურად ყლოჭინობენ, რომ ქვეყანას ამჩატებულად არ ეჩვენონ.

ამგვართაგანი არ გამოდგა დოქტორი ჩხიკვიშვილი: სთხოვეს თუ არა: „შენს იქით გზა არა გვაქვს... პეპოს როლის მოთამაშე არავინა გვაყვს და შენ უნდა გვიშველოო“, დასტური მისცა: ბატონი ხართ! მაგაზე როგორ გაგაწბილებთო!.. პეპო არა ვარ, მაშ რა ჯანაბა ვარო?

და მართლაც, გამოვიდა სცენაზე, მაგრამ ის პეპო და კინტო მეთევზე ვერ გამოგვისახა!.. მაგივრად საუცხოვო ტიპი გაგვითვალისწინა დღევანდელ პეპო-ინტელლიგენტისა.

პეპო ჩვენი ქვეყნის საზოგადო ტიპია; საქართველოს მიწის შვილი ძვირად მოიპოვება მისთანა, რომ, ცოტად თუ ბევრად, პეპოობაში წილი არ ედვას. ის ყოველ წრეშია და ყოველ წოდებაში. პეპოობის საძირკველი ყველასი ერთია; მხოლოდ თვით შენობა, ე. ი. ხორცშესხმულობა წრისა და წოდების შესაფერად სხვა-და-სხვა გვარად იხატება. ვინ არის საზოგადოდ პეპო? სახარების ქრისტიანი, რომელიც, მაცხოვრის ბრძანებისა მებრ, ხვალისთვის არა შფოთავს, არა ზრუნავს; სჯერდება მხოლოდ დღევანდელ დღეს. ეს დღე ხომ ჩემ ხელთ არის, „ხვალესაც“ ვნახავთ და შესაფერად მოვექცევითო!.. ამბობს... იმედი აქვს ჯერ ღვთისა და მერე თავისის, საკუთარ, ჰალალ-მარჯვენის. რასაც იშოვის და მოიმკის დღიურად, მით კმაყოფილია. ცოტა იქნება—დასჯერდება... ბევრი? —სხვებსაც გაუზიარებს და გუნებაში იმღერის:

„სანამ ცოცხალ ვარ ასე ვსჭამ,
დავჰკრეფავ ვარდს და იასა...
მოვჰკვდები გაეხარდება
სამარის კარზე ჭიასა“-ო.

ჰალალი ლუკმა გემრიელიაო და მართლაც რომ ტკბილი ჭამა აქვს. ხვალინდელზე ფიქრით დღევანდელ ლუკმას არ იმწარებს!.. ხვალაც ისევ თავისი მარჯვენის იმედი აქვს და თუ ბედი უმტყუნებს და მარჯვენა უღალატებს, მაშინ რაღა გაეწყობა? გასესხებულს მოიმკის და უპატრონოდ მაინც არ დარჩება. ეს სესხი მისი საკუთარი გულია და სიყვარული, ძმა-ბიჭებში დარიგებული. მხოლოდ სიკვდილის სამზადისს კი არ ივიწყებს და რომ თავისი თავი თვითონვე დაიმარხოს, ვერცხლის ქამარი წელზე არტყია; იმას შემოხსნიან, ფულად აქცევენ და დამარხვენ... მორჩა, გათავდა!..

პეპოს ხელობა მეთევზეობაა იმას შესტრფის და შეჰხარის!.. მისი სა-

სტიურად, ისტორიულად და კულტურით საქართველოსთან განუყოფელი და ამიტომ იქაც მოითხოვდა საქმის ვითარება წირვა-ლოცვის ქართულად ასრულებას.

მერე რად დასჭირდა გრუზინს ჩვენის ისტორიის ასე გადასხვაფერება, გაშავება? იმად, რომ ეუწყებინა ქვეყნისთვის, რომ ქართველები ისტორიულად თვიანთის ეკკლესიის გამგეობაში არაფერი ყოფილან და დურნოვო ეხლა რას მიედმოედება ან ისინი რას ეძებენ, ვერ გაგვიგიათ. ივერიის ეკკლესია ძველად რომ თავისი თავის ხელშეუვალი პატრონი და მზრუნველი იყო, ამის უარს გრუზინის მეტი სხვა არავინ იტყვის, რადგანაც ეს ამბავი ერთობ ცხადი და მარტივია, მაგრამ პანივერიზმის (სრულიად ქართველობის) პრინციპი კი, რასაც იგი, ცხუმის ეპარქიაში ქართული წირვალოცვის აკრძალვის გასამართლებლად, განზრახ მიაწერს საქართველოს მეფეთა პოლიტიკას, ჩვენმა ისტორიამ სრულებით არ იცოდა.

კლდია.

ახალი ამბავი

* * * ტფილისში ჩამოვიდა და იქიდგან კახეთს წავიდა პროფესსორი ახალ-ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა ბ-ნი ფონ-ბრანკე. პროფესსორს აზრათა აქვს კახეთის ტყეები დაათვალიეროს და ჩვენებური ტყის საქმე გაიცნოს. პროფესსორს თან ახლავს ასსისტენტი აღნიშნულ ინსტიტუტისა ბ-ნი ქურდიანი.

* * * საგუბერნიო ადმინისტრაციას განზრახვა აქვს ტყის ქარხნებისა და საწყობების ქალაქის შუა-გულ აშენება სრულიად აღკრძალოს, რადგანაც ცეცხლის გაჩენის დროს ძლიერ საშიშნი არიან.

* * * ტფილისის გუბერნიის სამხედრო საკრებულოთათვის შენობების დასაქირავებლად, გასათბობად და მოსაწყობად გუბერნატორს 5,048 მან. სესხი გამოუყვიდა.

* * * ამ წინაზედ გადამწვარ საქონლის სადგურის უმთავრეს განყოფილების ასაშენებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ საჭირო თანხა გადასდო.

* * * როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას ტფილისში ნებართვა მიუღია, რომ წელიწადში ოთხჯერ ჟურნალი „Инженерное Дѣл.“ გამოსცეს.

* * * ტყის უფროსთა კორპუსის ინსპექტორის მოადგილეს ბ-ნს რაუერს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში მოხსენება წარუდგენია, რომ კახეთის ზოგიერთა მთა-გორიან ადგილებში ტყეები გაშენდეს. სახელდობრ ყვარელისა და თელავის სატყეოში. მომავალს წელს ამ აზრით მუშაობასაც შეუდგებიან, რისათვისაც 7,000 მან. სესხია გამოთხოვნილიო.

* * * ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს ამშენებელმა განყოფილებამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროექტი მამადავითის მთაზედ გასაყვან ფუნიკულერისა ამ დღეებში უკვე მიიღო. პროექტს მალე ქალაქის გამგეობას გაუგზავნიან და პირობას შემკვრელს მოწმობას მისცემენ, რომ მუშაობას შეუდგნენ.

* * * კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დაუდგენია სთხოვოს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ინსტრუქტორს ბ-ნს დიმიტრიევს დაათვალიეროს რუის-ხევში მამული თავ. ქობულიშვილისა, რომელმაც სურვილი განაცხადა—ოცის დღის მიწას დავუთმობ, თუ რომ საბაღოსნო სკოლას ტფილისიდგან აქ გადმოიტანენო. ამ ქამად დათვალიერებით უნდა გამოარკვეს, გამოდგება თუ არა ეს ადგილი სკოლისათვის, რა მდებარეობა აქვს, რა მცენარეულობანი იხეირებენ და სხ.

* * * ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მოკლე ხნის განმავლობაში ქალაქის სამმართველოს ყველა სავალდებულო დადგენილებანი უთუოდ გადათვალიერებულ იქმნენ.

* * * წრევანდელი სეზონი ქართულის წარმოდგენებისა სექტემბრის პირველს რიცხვებში დაიწყება, ვ. აბაშიძის რეჟისორობით. რეპეტიციებსაც ამ თვის ოციდგან დაიწყებენ. ჩვენმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ყველა ჩვენი არტისტები მოიწვია და აგრეთვე გასტროლიორებიც.

* * * როგორც შევიტყეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ამ წელს ქართულს დასში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ დებიუტანტებისათვის გამოსაცდელი წარმოდგენა 25 აგვისტოსათვის დაუნიშნავს.

* * * როგორც კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასა სწერს მიწად-მოქმედების დეპარტამენტი, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ—7500 მანეთს გარდა, ორი ათას ხუთასი მანეთი გამოფენის ხარჯების დასაფარავად კიდევ გადასდო. ამ ფულებს გამოფენის გამმართველი კომიტეტი მიიღებს მომავალს წელს, იანვარში.

* * * როგორც გვატყობინებენ, 5 სექტემბრიდგან ტფილისის სათავადაზნაურო თეატრში რუსული სოპერეტო დასი თურმე დაიწყებს წარმოდგენების მართვას, დასში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი რაისოვისა, მილიუტინისა, ბ-ნი სვეტლანოვი და სხ.

* * * ტფილისის გუბერნატორს ი. ნ. სვეჩინს ამ დღეებში მოელიან ტფილისში.

* * * როგორც გვატყობინებენ, ონსა და უწერას შორის დიდის ნიაღვრებისა გამო დაზიანებული გზა უკვე შეუკეთებიათ.

* * * სახელმწიფოს სარგებლიანი ქაღალდები 1-ლ სექტემბრიდგან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებთან გახსნილ ყველა შემნახველს კასებში გაისყიდება.

* * * გზათა მინისტრის თ. ხილკოვის ნება-რთვით 27 აგვისტოს პეტერბურგში რუსეთის რკინის გზების საკომერციო სამსახურის უფროსთა მეხუთე კრებაა დანიშნული.

* * * შემდეგ სამწუხარო ამბავს გადმოგვცემს „Рус. Вѣд.“-ი: „3 აგვისტოს ახალ-პეტერგოფში დუელი ჰქონდათ მისის იმპერატორებით უდიდებულესობის „კონვოის“ ადიუტანტს, უგანათლებულესს თავადს ა. ფ. საინ-ვიტგენშტეინ-შერლებურგსა და სამსახურს გარეშე მყოფს პოლკოვნიკს მარტინოვს. თავადი ვიტგენშტეინი გულში დაიჭრა და ჭრილობისაგან დილის 7 საათზედ გარდაიცვალა ობუხოვის საავადმყოფოში. განსვენებული 27 წლის კაცი იყო. სწავლა ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელში ჰქონდა დამთავრებული და დიდად განათლებული კაცი იყო, მშვენივრად ჰქონდა შესწავლილი ფრანგული და ნემეცური ლიტერატურა... ამას გარდა, რადგანაც დედა ქართველი ჰყავდა, ქართულიც მშვენივრად იცოდა.“

* * * პოლიციის მე-10 ნაწილში, დიდის მთავრის ქუჩაზედ, ორშაბათს, 6 აგვისტოს, პოლიციის მოხელემ ორის კვირის დაბადებული ბავშვი ნახა მიგდებული მამრობითი სქესისა. ბავშვი ტფილისის ოლგას საბებიო ინტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

* * * პოლიციის მე-5 ნაწილში 7 აგვისტოს ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ტფილისის ვაჭრის მინას სარქისოვის დუქანი გაუტეხიათ, საიდგანაც 250 მანეთად ღირებული დანები და რევოლვერები და 400 მან. ღირებული ჩოთქები მოუპარავთ, სულ 650 მანეთისა. ქურდობაში ეჭვი არავისზე არა აქვთ მიტანილი. პოლიცია დაკარგულ ნივთებსა და დამნაშავეთ დაეძებს.

* * * როგორც აღმოჩნდა, 31 ივლისს სიღნაღის მაზრაში შეპყრობილს ციმბირიდგან გამოქცეულს რეზო თვალმიხელაშვილს რამდენიმე ამხანაგი ჰყოლია: კარდანახის მცხოვრები ჩალათაშვილი, ბაკურციხის მცხოვრები მიხეილ დარჩიაშვილი და ციმბირიდგანვე გამოქცეული კარდანახელი ილაშვილი. ორი ამათგანი პოლიციამ კიდევაც შეიპყრო.

* * * 7 აგვისტოს, საღამოთი, იარმუკაზედ ვიღაც მედვედევს თავის ამხანაგთან ჩხუბი მოუვიდა და დანით დასჭრა იგი მუცელსა და წელში.

კავკასიის მომავალი გამოფენა

მომავალს გამოფენაზედ საზოგადოებისათვის თავგასართობად გარდაწყვეტილია მოიწვიონ: 1)
ღერალი ქალების ხორო (ცი
და მალოროსთა) ივანოვისა,
ექსცენტრიოსნი მაკვუტნი (
ვირტუოზები სხვა და სხვა სა
ბისა, 3) მარიამ ლაბელლის
(მომღერლისა და მოცეკვავისა) 4
მან. 2 თვეში, 4) ფრანგ-
დასი მედვედევისა (კვარტეტი) 1
მან., 5) მომღერალი ქალი ს
დორი, 6) დანიური შერეული ხ
ვრიბორ-ნოსი და 7) სერპან
გარდა ამისა, როგორც უკვე
ყიან ჩვენმა მკითხველებმა, მი
ლნი არიან ქართველთა და სომ
ნაციონალური ხოროები. ადგი
ბის ფასია: ლოჟებისა 4 ადგილ
6 მან., ლოჟებს უკან ადგილი
კაპ., პარტერში (25 წყება სკამ
20—20 საჯდომიანი თვითო წ
ში) 2 მან. და 50 კაპ. ვე
75 კაპეიკამდე.

უნდა მოგახსენოთ, ბ-ნებო,
მხრივ სწორედ ბევრსა სცდ
გამგენი.

დაბა და სოფელ

ს. ზედუბანი. წარსულის
ოცს რიცხვს, საღამოს ჟამს,
ბოროტ-მომქმედნი დაეცნენ
ლობრივის ვაჭრის, მანჯა
მაღაზიას სწორედ იმ დროს,
საც პატრონი შინ არ
ბოროტ-მომქმედებმა მაღაზი
ვერაფერი წაიღეს, მხოლოდ
ქად დასჭრეს მანჯავიძის მეზობ
ვაჭარი ტ. ტაბატაძე, რომ
მათ მაღაზიის პატრონი ეგ
ბ-ნს ტაბატაძეს ფერშალი
ჩიტაძე არჩენს. გასაკვირველი
არის, რომ მაღაზიაზედ თ
ხმა მოხდა ბინდისას, რო
ჯერ სოფლად არა ვის ეძინა
აგრეთვე ისიც, რომ აქაურს
რებს ვერ აღმოაჩნდათ არა
უბრალო თოფი, არამედ უბრ
რევოლვერიც-კი, რომ ბორ
მომქმედთათვის მცირეოდენი
აღმდეგობა მაინც აღმოეჩინათ.

ს. მოლითი. 2-ს აგვისტოს
რძანდა ხორაგაულის ბოქ

ფუნდრუკო „პეტრეს მორევია“. იქ რომ ბადეს გაისვრის, ცივ წყალში ფეხებ ჩაყოფილი; გულმკერდზე რომ გრილი თელხი (წყლის ნიავი) სცემს და თავზედაც ვარსკვლავები დაჰფეთქენ-დასჭიკჭიკობენ, ის მაშინ ბედნიერია; მით უფრო, რომ მის სიხარულს საძირკვლად წმინდა საქმიანობა უდევს.

ამ მხრით ბ-ნ სუნდუკიანცის კინტო-პეპო დიდად განსხვავდება მოქეიფე კინტო-ლოპიანისაგან, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობს ნეტარებას, როცა „საყვარელი ზედ წამწამზე უზის და ორთაჭალის ბაღებში ქეიფობს“!.. მაშინ მხოლოდ თავს აჭერს ცას. პეპო კი ყველგან პეპოა, სადაც კი ჰალალი შრომა ამოძრავებს!.. და თავისი თავისაც თვითონვე იცის. არავის არ დააჭერს ფეხს, მაგრამ არც თვითონ ვისმეს გაეთელინება. მაღლა ღმერთი სწამს, დაბლა ადამიანობა. მისი მოქმედება ლოცვაა, მაცხოვრის მონიჭებული „მამაო ჩვენო“.

ახლა გადავიდეთ მის ამხანაგ ძმაბიჭზე, კაკულაზე. ის ვინღაა? ისიც კინტოა, პეპოს მიმდევარი, მისი თანამგრძნობი, ლხინში წამახალისებელი, ჭირში გამამხნევებელი და გაჭირვების დროს სულისაც კი არ დამზოგველი და დამჭერი. მისს უკანასკნელ ვერცხლის ქამარს, სიკვდილის საფასურს, სულის საანდერძოს აძლევს პეპოს: „აჰა, სხვა ნივთებთან ერთად, თუ არ გყოფნის, რაცა გაქვს შენი, ეს ქამარიც მიუმატე, გაჰყიდე და ალა არუთინას კი ნუ დააჩაგვრინებ თავსო.“

დღეს, როცა ძველებურმა ყოლიფერმა იცვალა სახე, კინტობაც გახუნდა და პეპო-კაკულები გაძვირდენ; მაგრამ ადრე-კი მათი იყო ბურთი და მოედანი.

ეგება იფიქროს ვინმემ: სად მეთევზე კინტო და სად მოღვაწე ინტელლიგენტიო? საერთო რა არის მათ შუაო? პასუხი საძნელო არ არის: პატიოსანი მუშა ყველა სასურველია!—მართალია, ცხოვრებაში ზოგი დიდს ეტოტინება, და ზოგი პატარას სჯერდება, მაგრამ ერთიცა და მეორეც საჭიროა და გამოსადეგი ქვეყანისათვის.

პეპო-კინტო ბადეს ისვრის პეტრეს მორევში, შიგ აბამს ფართხალა თევზებს.. მართალია, ხანდახან გველბაყაყებიც ჩაუძვრებიან ხოლმე ბადის სალომეში, მაგრამ არც ამას ერიდება.. ორივეს თავთავისს შესაფერს გზას აძლევს და არ იშლის ხელობას, სანამ არ მიდგება საფლავის კარზე, რომ იქ „ჭია ახაროს“.

ნამდვილი საზოგადო მოღვაწეც იგივე პეპო არ არის, ჩვენი ცხოვრების მორევის პირად მიმდგრი? მისი შეუპოვარი და სამართლიანი, ქვეყნის გამოსაფხიზლებლად განატყორცი სიტყვა, იგივე ბადე არ არის, სადაც თევზებიც ებმიან და გველ-ბაყაყებიც? თვით უდიდესმა მოძღვარმა მეთევზეები არ აირჩია პირველ მოწაფეებად! „დღეს თქვენ სათხეველით იჭერთ თევზებს და ამიერიდან მე დაგაჭერინებთ კაცებს მათდავე საბედნიეროდო.“

რითი განსხვავდებოდენ ჩვენი სამოციან წლების მოღვაწეები პეპო-კაკულებისაგან, მაგალითად, ს. მესხი, ა. ყაზბეგი და გ. წერეთელი? საპირადო „ხვალესათვის“ არც იმათ უფიქრიათ და უზრუნიათ... და, მართალია, სიცოცხლეში პეპოს „ია“ ვერ კრიფეს, მარამ „ჭია“ კი მაინც პეპოურად ახარეს.

ის, მაშინდელი ახალგაზდები, რომელნიც თავისის მეგობრულის თანაგრძნობით გულს უკეთებდენ და ამხნევებდნენ მათ, იგივე კაკულები არ იყვნენ?

დღეს, ვიმეორებ, „პეპო-კაკულობა“ ყველგან იშვიათია! სამაგიეროდ ალა-არუთინობა და ზიმზიმოვობა გაიმართა წელში და გამრავლდა. ვინ არიან ეს ვაჟბატონები? ის ინტელლიგენტები, რომელნიც მხოლოდ პირად კეთილ-დღეობაზე ფიქრობენ და ყოველივე საზოგადო კი მათვის საპირბადო და საფარისეველოა. დღეს ჯერ კიდევ მათი კოჭი ალჩუ ჯდება და აღარ სად არიან ადრინდელი პეპო-კაკულები, რომ ცხვირ პირში მიარტყან ხოლმე მათი სიყალბე.

და თუ თითო-ოროლა
კანტი-კუნტად კიდევ შერჩენია
ვრებას, ის ძველებური პირდა
გამბედავი შეუპოვრობა მაინც
აქვთ და გადაკრულ-მათრახულ
იქარვებენ გულის ჯავრს. სწ
ამგვარი პეპო დაგვანახვა ბ-ნმა
კვიშვილმა ხონის სახალხო ს
ზედ. ისეთის ნაღვლიანის კ
იმეორებდა პეპოს მონოლ
არუთინ-ზიმზიმოვების შესახებ,
ეტყობოდა, ბევრი მათგანი უ
ჩვენს ინტელიგენტებში და
იდებს ნიშანში.

დიახ, პეპობამ გამოიყვანა
ბაისელი ექიმი სცენაზე და
ხელოვნურად არა, გულწრ
მაინც ათამაშა სხვების საგ
ხმოდ და სამაგალითოდ.

ბ-ნი ი. ღოღობერიძე თავად ლ. ნაკაშიძესა და ტფილისის ვაჭრის ასატურ მადატოვის შორის მომხდარ უთანხმოებათა მოსასპობლად. საქმე იმაშია, რომ თავადს ნაკაშიძეს სოფელ ნებოძირში აქვს დიდძალი ტყე. სწორედ ამდენივე ტყე ამავე სოფელში ჩაიგდო ხელში ბ. ასატურ მადატოვმა... ორსავე ტყეში მუშაობაა გაცხარებული: სჭრიან შეშას, ამზადებენ ფიცრებს, ძელებს და სხვ... დამზადებულ მასალის სადგურ მოლითამდის ჩამოსატანად კარგა ხანია მადატოვმა გამართა ღარი, რომლით სარგებლობაც თ. ნაკაშიძესაც შეუძლიან ხელ შეკრულობის ძალით განსაზღვრულ ფასის გარდახდის შემდეგ. როგორც აღმოჩნდა ბოქაულის გამოკლევით, ბ-ნი მადატოვი მუდამ თურმე ავიწროებდა თ. ნაკაშიძეს ჯერ იმითი, რომ ღარის შესაკეთებლად მუშებს ჰგზავნიდა მაშინ, როდესაც ნაკაშიძის სამუშაო დღე იყო, და ეს დღე მას უსარგებლოდ ეკარგებოდა. ამის გამო თ. ნაკაშიძეს კვირაში მხოლოდ ორ-სამს დღეს ჰხვდებოდა ღარით სარგებლობა, მაშინ როდესაც მადატოვი მთელის კვირით სარგებლობდა ნაკაშიძის სამუშაო დღეებში შეკეთებულის ღარითა. ამას გარდა, მადატოვი ნაკაშიძის ტყიდგან მასალას ღარით თავისს მუშების შემწეობით გზავნიდა და თვითო საჟენ შეშაში ამისათვის 2 მ. 50 კ. ახდევინებდა, გარდა იმ ხარჯისა, რომელსაც ნაკაშიძე იხდიდა ღარის შესაკეთებლად და ღარით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად. თავ. ნაკაშიძემ სურვილი გამოაცხადა, რომ იგი თავისის მუშებით ჩამოზიდავს შეშასა და სხვა მასალას სადგურამდის, რაც მას შედარებით უფრო იაფად დაუჯდება. ბ-ნმა ბოქაულმა მოარიგა ურთიერთ შორის ნაკაშიძე და მადატოვი და დაწერილ იქმნა მორიგების ქაღალდი, რომლის ძალითაც საშუალება მიეცა თავ. ნაკაშიძეს უფრო ხელ საყრელად აწარმოვოს თვისი საქმე... მაგრამ აქვე არ შემიძლიან არ შევნიშნო, რომ ეს ღარი, რომელიც გამართულია ბეჟათუბნის წყალზედ, სარგებლობასთან ზარალსაც აძლევს ნებოძირის და ბეჟათუბნის მცხოვრებლებსა, რომელთაც აქ წისქვილები აქვთ გამართული. მთელი წყალი თითქმის ღარებს სჭირდება და წყალს მოკლებული წისქვილი აბა რაღას დაჰფქვავს?.... წყლის საქმის გამგეობის გარდაწყვეტილებით, მცხოვრებლებს ნება ეძლეოდათ სამის კვირის გავმავლობაში ყოველს თვეს წყლით თვითონ ესარგებლათ და ერთი კვირა-კი ტყის მწარმოებელთათვის დაეთმოთ წყალი... როგორც ვიცით, ეს გარდაწყვეტილება დღეს არა სრულდება და მცხოვრებნი დიდს გასაჭირში არიან ჩაცვივნულნი და არ იციან, რა ჰქმნან? მოლითის სადგურის მახლობლად დაარსებული ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა ზემოხსენებულის ბოქაულის ღოღობერიძის მეცადინეობით იქმნა ორკლასიან სამინისტრო სასწავლებლად გადაკეთებული.

—

ს. ხარაგაულში ამავე ბოქაულის მეცადინეობით გადმოტანილ იქმნა დაბა საჩხერედგან ავადმყოფთა მისაღები სახლი. მთავრობამ უკვე დაიქირავა შენობა დეკ. ვეფხვაძისა ამ სახლის მოსათავსებლად. აქ იცხოვრებენ ორი ფერშალი და ერთი ბებია-ქალი. საავთმყოფოს გამგედ დანიშნულ იქნება მკურნალი მიხეილ ლორთქიფანიძე, კარგად ცნობილი მთელს მაზრაში თვისის უანგარობითა და სამკურნალო საქმის საფუძვლიანად ცოდნით. ამავე სოფელში ორ-კლასიანი საეკლესიო სამრევლო სკოლის შენობა, რომელიც მღვდელმა რომანოზ დეკანოსიძემ ააშენა თავისის ხარჯით, დამთავრებული იქმნა. ამ ჟამად სკოლის ეკლესიისათვის მზადდება ხატები. ეკლესიას აკურთხებენ ენკენისთვეში. სკოლა და ეკლესია დაჯდა უმეტეს 10,000 მანეთისა. ამ რიგად, ხსენებულს სოფელში არსებობს ამ ჟამად ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა და ორ-კლასიანი საეკლესიო სამრევლო სკოლა.

ჩვენს დიდს ნაკლს დღემდის შეადგენდა დედათა სკოლის უქონლობა, მაგრამ აქაურმა ვაჭარმა ალექსი მანჯავიძემ შესწირა სახლი, რომელშიაც მომავალი დედათა სკოლა მოთავსდება. ბოქაულმა ღოღობერიძემ უკვე აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მომავალ სკოლისათვის მასწავლებელი სახელმწიფო ხარჯით იქნეს დანიშნული. სოფ. წიფაში სცხოვრობს ერთი ვიღაც კიკაჩეიშვილი, რომელიც მცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევს, ეს უცნაური ვაჟბატონი ყოვლის უმიზეზოდ ხან ცხენს მოსჭრის ფაფარსა, ხან ხარსა და ძროხას კუდსა, ხან რას სჩადის და ხან რასა. მცხოვრებნი იმდენად დაშინებულნი არიან ამ ვაჟბატონისაგან, რომ ბოქაულისთვისაც-კი ვერ უცნობებიათ ეს ამბავი, ვაითუ უარესი რამ გვიყოსო. ამავე სოფლის საეკლესიო-სამრევლო სკოლა დაკეტილ იქმნა, რადგანაც არსებობის სახსარი არა ჰქონდა.

—

სოფ. ზვარეში და ჩრდილში მშვენიერი ეკლესიები იქმნენ აღშენებულნი, განსაკუთრებით კარგი სანახავია ზვარის ეკლესია. სოფელი ექვსი ვერსით არის დაშორებული ბეჟათუბნის სამინისტროს სკოლასა და ამის გამო ხსენებულს სკოლაში დიდის გაჭირვებით ძლივს დადის რამდენიმე ზვარელი ბავშვი. აი, სწორედ ამ სოფელში იხეირებდა საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომ ვისგანაც ჯერ არას, გახსნას იკისრებდეს. არც გლეხები არიან ამისი წინაღმდეგნი, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ საეკლესიო სკოლა არ არსდება ჯერ-ჯერობით, თუმცა ამ სოფლის მღვდელს სასულიერო სემინარიაში აქვს კურსი დამთავრებული და სწავლების უნარიცა აქვს.

—

სოფლის **ნუნისის** დიდძალი ტყეები, რომელიც თავად სუმბათაშვილსა და კ. ერისთავს ეკუთვნის, და რომელიც სახელმწიფო ბანკშია დაგირავებული, ამბობენ, ამავე ბანკს დარჩებაო. ამ დღეებში სახელმწიფო ტყის შორაპნის მაზრის უფროსმა ბ-მა მაჟსურიგმა დაათვალიერა ეს ტყეები და შეიტყო მისი სიავ-კარგე. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ნუნისის გათქმული სამკურნალო წყლები სახელმწიფო ბანკის საკუთრება შეიქმნება.

—

სოფ. **ვახანის** ბოლოს ამ ჟამად ზედუბნის სამინისტრო სკოლის მოსათავსებლად სადგომს აშენებენ. სკოლაში ისწავლიან ვახანისა, ზედაუბნისა და სერბაისის მცხოვრებთა ბავშვები. ვახნელთათვის ეს სკოლა დიდად ხელ-საყრელია, ხოლო ზედუბნელ და სერბაისელ ბავშვებისათვის-კი არა, რადგანაც მდინარე ვახანურა, რომელიც ვახანსა და სერბაის-ზედაუბანს შუა ჩამოდის, წყალდიდობის დროს სრულიად გაუვალია და ფიცრის ხიდებს და ბოგირებს არ აყენებს. საჭიროა, მკვიდრი ხიდი მაინც გაკეთდეს ამ მდინარეზედ, რომ ზედაუბნისა და სერბაისის ბავშვებს შეძლება ჰქონდეთ სკოლიდგან დაუბრკოლებლივ იარონ.

—

ს. ქვემო-ჭალა (გორის მაზრა). ხსენებული სოფელი თან-და-თან იღვიძებს და წარმატების გზაზედ დგება. აქაურ სამინისტრო სკოლის მასწავლებელს თავადის მეუღლეს ქალბ. ალექსანდრა ივანეს ასულს ფალავანდიშვილისას განზრახვა აქვს აქ წიგნთსაცავ-სამკითხველო სკოლასთან დააარსოს. დიდად პატივცემული მასწავლებელი ქალი აგროვებს ამ ჟამად წიგნებს და ფულს წიგნთსაცავ-სამკითხველოს დასაარსებლად. ამავე საგნისათვის სახსრის მოსაპოვებლად იმისვე თაოსნობით რამდენჯერმე რუსულ-ქართული წარმოდგენაც იქნება ამ სოფელში გამართული. ამ თვის 6-ს და 15-საც აპირებს იგივე მასწავლებელი წარმოდგენების გამართვას... ბ-ნი ი. თხორჟევსკი, რომელიც ამ ხაფხულს ამ სოფელში ბრძანდება, წიგნთსაცავის დაარსებას დიდს შემწეობას და დახმარებას ჰპირდება.

ბზიკი

რუსეთი

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობამ ლაპარაკი აღძრა „მეშჩანთა“ და ხელოსანთა წოდებების საქმეთა სხვა რიგად მოწყობის შესახებ. როგორც ახლა სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, ამ საქმის გადაწყვეტა სხვა დროსთვის გადაუდვიათ.

— მიწად-მოქმედების სამინისტრო მალე შეიტანს სახელმწიფო საბჭოში პროექტს დებულებისას სასოფლო-სამეურნეო მუშათა პრაქტიკულ კურსების შესახებ.

— გაზეთების სიტყვით, მთავრობამ გადასწყვიტა ჩრდილოეთ კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოიღოს.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. „Westminster gazette“-ს კორესპონდენტი სწერს სამხრეთ აფრიკიდგან, რომ ახლა, როდესაც ორი წელიწადი მალე შესრულდება ომის დაწყებიდგან, საჭიროა ანგარიში გაუწიოთ ჩვენს აწინდელს მდგომარეობას სამხრეთ აფრიკაში. სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი საქმე ისევე საშიში და საზარელია, როგორც ამ ერთის წლის წინად იყოო. მტერთა რიცხვი შემცირდა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჩვენ გვჯერა, რომ მტერთა რიცხვი ძალიან შემცირდა—ეგ არის ჩვენი ერთად-ერთი სარგებლობა. მაგრამ მეორეს მხრით იმათ, რომელნიც ახლა იბრძვიან, ბევრი ცოდნა და გამოცდილება შეიძინეს სამხედრო საქმეებისა და ამ გამომწვთვარ მეომრებისა უფრო უნდა გვეშინოდეს ვიდრე იმათი, რომელთაც ომი ახლახან დაიწყესო. ჩვენ წავართვით მათ ყველა ზარბაზანი, მაგრამ ამითი გაცილებით უფრო მოძრავი შეიქმნენ მათი რაზმები. შარშან ჩვენ ვებროდით მტერს მისსავე ქვეყანაში, ხოლო წრეულს იძულებულნი ვართ ვიომოთ ჩვენს სამფლობელოში; მტერი შემოესია კაპის ახალშენსა და წამ და უწუმ საშიშია, ვაი თუ ჰოლანდიის ახალშენელებმა გვიღალატონო! დიაღ, საჭიროა, რაც უნდა იქმნეს, მალე გავათავოთ ეს ომი, რომელიც სრულიად განადგურებამდის მიგვიყვანსო.

— ცნობილმა ინგლისელმა რადიკალმა ჯონ მორლეიმ ერთ-ერთს თავისს პოლიტიკურს სიტყვაში გააფრთხილა ინგლისელი შოვინისტები, რომ ისტორია სამართლიანს მსჯავს დასდებს თქვენს საქციელსაო. „თქვენ გინდათ გაიგოთ, რას იტყვის ისტორია? ყური უგდეთ, თუ რას ამბობენ სხვა დანარჩენი ერნი. ერთხმად ყველანი თქვენ გამტყუნებენ,—აგეთივე იქმნება ისტორიის მსჯავრიცაო.“

ჯონ მორლეის პასუხი გასცა „Fortnightly Review“-ის პუბლიცისტმა „დიპლომატიკუსმა„, რომელმაც სხვა ინგლისელებივით განაცხადა, რომ უცხო ერნი შურით უყურებენ ინგლისს, რომელმაც აჯობა მათ მსოფლიო ვაჭრობის საქმეში დ ყველგან ბაზარი მოიპოვაო. ჯონ მორლეი სცდება; სხვა ერნი თუ ბრალსა გვდებენ, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიაც შეგვაჩვენებსო.

ინგლისის პოლიტიკა ჩემბერლენის განცხადებისამებრ იმაში მდგომარეობს, რომ 1) დაიცვას ინგლისის სამფლობელო მამულები და ახალშენები, 2) გახსნას ახალი ბაზრები ყველგან, სადაც კი შესაძლოა და 3) დაიხსნას ძველი ბაზრები დახურვისაგან და ეცადოს, რომ ეს ბაზრები რომლისამე ერთის სახელმწიფოს მონოპოლიად არ გახდეს. ეს წინააღმდეგი იყო სხვა ერთა პროტექციონურის პოლიტიკისა და ამანვე გამოიწვია მსოფლიო ბურჟუაზიის სიძულვილი ინგლისისადმი. სხვა მიზეზიც ბევრია. საფრანგეთის ნაციანალიზმი, კლერიკალურის პარტიის გავლენა, ანტისემიტიზმი, ქრისტიანული სოციალიზმი—პროტესტანტიულის ინგლისისადმი ხიძულვილსა სთესდნენ დემოკრატიულს წრეებში, ხოლო სოციალისტები მოტყუებულ იქმნენ იმ ხმით, ვითომც ინგლისი ომობს ოქროსათვის რამდენისამე კერძო ფინანსისტების სასარგებლოდაო. რასაკვირველია ყველა ეს ბრალდება უსაფუძვლოა და ისტორიის მსჯავრიც ინგლისისათვის სასარგებლო იქნებაო.

ისტორიაცა და ჩვენც არაფერს დავაბრალებდით ინგლისს, რომ მას მტკიცედ დაეცვა მის დროშაზედ წარწერილი „თავისუფლება“ და ძალ-მომრეობა, დამონება არ განეზრახა. მართლაც კაი ხანია ჩვენ ინგლისს შევყურებდით, როგორც ბურჯს მსოფლიო ლიბერალიზმისას, როგორც ქვეყანას თავისუფლებისა, დემოკრატიულის თანასწორობისა და იდეალურის სამართლიანობისას, დაჩაგრულს კაცობრიობასაც დიდი იმედი ჰქონდა დიდის ბრიტანიისა. ამას აორკეცებდა აგრეთვე ინგლისის დიდებულ ფილოსოფოსთა და პოეტთა ნაწარმოების კითხვა-შესწავლა. მაგრამ, როცა დავინახეთ ინგლისის მიერ ინდოეთის აჯანყებულ მცხოვრებთა სამარცხვინო გაწყვეტა, ორპირობა საფრანგეთ-გერმანიისა და ოსმალეთ-საბერძეთის ომების დროს, ბერლინის კონგრესი და სხვა არა საგმირო საქმენი, მაშინ გაგვიცრუვდა იმედი და მივხვდით, რომ ლიბერალური წამოსასხამი ჰფარავდა ინგლისელთა შესაზარს ფარისევლობას. ამ უკანასკნელს დროს საწყალ ერთ მუჭა ქრისტიანე ხალხის გაჰყვეტა ხომ ყოვლად შემაძრწუნებელი მოვლენაა.

მართალია ჯონ მორლეი, ყველა ერის ერთხმოვანი მსჯავრი მომასწავებელია ისტორიის ულმობელ გამჩენისა...

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

—

ლონდონში ამ რამდენისამე ხნის წინად დაარსდა „მარკონის საზოგადოება.“ მარკონიმ, როგორც მკითხველებმა უწყიან, უმავთულო ტელეგრაფი გამოიგონა. საზოგადოებას აზრად აი ასეთი ტელეგრაფების გამართვა აქვს. ეხლა ამ საზოგადოებას უმავთულო ტელეგრაფის გამართვა ინგლისსა და ავსტრალიის შუა განუზრახავს. მარკონის თავისი ტელეგრაფი შესამჩნევად გაუუმჯობესებია. სადგურები ინგლის ავსტრალიის ტელეგრაფისათვის გამართული იქმნება.: ინგლისსა, ფინისტერსა, გიბრალტარსა, ალჟირსა, სარდინიასა, სიცილიასა, მალტასა, საბერძნეთსა, ალექსანდრიასა, ადენსა, სოკოტრასა, კოლომბოსა, სუმატრასა, პერტსა, ალბანსა, ადელაიდსა და მელბურნში. იგივე საზოგადოება უმავთულო ტელეგრაფის გამართვას ამერიკასა და ევროპის შუაც ჰფიქრობს.

⁂

ამერიკაში ინდიელთა რიცხვი წლითი-წლობით კლებულობს. თეთრ კანიანთა ტომის სიახლოვე მეტად ვნებს მათ. ასევე კლებულობს ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი ავსტრალიასა და ჰავაის კუნძულზედ. 1853 წელს ჰავაის კუნძულზედ 71,000 სული ადგილობრივი მკვიდრი იყო. უცხო-ქვეყნელნი სწორედ ამ დროს გაჩნდნენ მრავლად კუნძულზედ. 1872 წელს ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვი 40,000-მდე ჩამოვიდა, 1890 წელს—30,000-მდე. ამავე დროს უცხოქვეყნელთა რიცხვი 61 ათასამდე ავიდა. გავა კიდევ ორმოცდა ათიოდე წელიწადი და ჰავაის კუნძულზედ უთუოდ აღარც ერთი ჰავაიელი მკვიდრი აღარ იქმნება.

⁂

ინგლისის ახალშენს ავსტრალიაში გამოუციათ ახალი კანონი, რომლის ძალითაც ახალშენში დასახლება მხოლოდ იმას შეეძლება, ვინც მოხელის კარნახით ინგლისურად 50 სიტყვის დაწერას მოახერხებს. ავსტრალიაში დღეს ევროპიდგან ძალიან ბევრნი სახლდებიან. ეს ახალი კანონი დიდ დაბრკოლებას გაუწევს გადასახლებულთ.

თეატრის მატიანე.

სოფ. დიდი ჯიხაიში.

29 ივლისს, დიდი-ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ ადგილობრივმა სცენის მოყვარე ახალ თაობამ ბ-ნ პოლიკარპე ლორთქიფანიძის თაოსნობით თავ. ნიკოლოზ ბეჟანისძის ჩხეიძის სახლში გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ცხოვრება ბრძოლაა“, 4 მოქმედებიანი დრამა გულისაშვილისა და „იქვიანი“, ვოდევილი 1 მოქ. სამწუხაროდ, წინა ღამიდგანვე ცუდმა ტაროსმა ძრიელ შეუშალა ხელი საქმეს, ასე რომ თვით აღნიშნულს დღეს საღამომდის მოთამაშეთაც-კი არა ჰქონდათ გარდაწყვეტილი ეთამაშნათ, თუ არა. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, წარმოდგენას მაინც დარჩა 39 მანეთი ხარჯს გარეშე, რაიცა დიდი შემწეობაა ჩვენთვის.

დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც ბ-ნი პოლიკარპე ლორთქიფანიძე, ისე ალექსანდრა ლორთქიფანიძისა, კნიაჟნა ნინა სოლომონის ასული ჩხეიძე, ლუბა ბიბილეიშვილი და სხვანი, რომელთაც წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს, და აგრეთვე თავ. ნიკოლოზ ბეჟანის ძე ჩხეიძე, რომელიც ყოველისფერში დიდად მოეხმარა და სახლიც დაუთმო.

ჯიხაიშელი გუგული.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

7 აგვისტო.

პეტერბურგი. 6 აგვისტოს ბიულეტენი: „დიდის მთავრინის ქსენია ალექსანდრეს ასულისა და ახლდაბადებულის დიდის მთავრის დმიტრი ალექსანდრეს ძის ჯანმრთელობაში ცვლილება არა მომხდარა-რა.

5 აგვისტოს გატჩინოდგან ნარვაში წაბრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდის მთავარი გიორგი მიხეილის ძე მეუღლითურთ და პრინცესა ვიქტორია ბატენბერგისა ჰერცოგინია გესენისა მეუღლით ლიუდოვიკ ბატენბერგელითურთ.

ერევანი. აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც ეჩმიაძინის მაზრაში გაჩნდა რაღაც მხეცი, რომელიც ღამღამობით მძინარე ბავშვებსა სჭამს. ყოველ დღე მოდის ამბავი მხეცის ახალ მსხვერპლთა შესახებ. ამას წინად სოფელ ზაივაში მხეცმა შეჭამა მძინარე კაცი. ჰფიქრობენ, რომ ეს მხეცი აფთარი არისო.

ლონდონი. კიტჩენერი პრეტორიიდგან იუწყება: „კაპიტანი ვორდი 150 კაცითურთ ბრანკგორსპრუიტისაკენ ელანდერივერის სამხრეთით წავიდა. იგი მოულოდნელად თავს დაესხა ბურთა ბანაკს, მოკლულ იქმნა 23 ბური. მტერი გაცილებით ძლიერი იყო—600—800 კაცი. ვორდს დაბრუნებისას აღმოაჩნდა ერთი კაცი მოკლული, ექვსი დაჭრილი, მათ რიცხვში კაპიტანი მორლეი, და 14 კაცი აკლია. ჯარები ზედ-მიწევნით იქცეოდნენ. მტერთაგან ალბათ 23- ზედმეტია მოკლული.

ბელგრადი. სენატორთა არჩევნებში 16 მთავრობის მომხრე იქმნა არჩეული, ყველა რადიკალი.

სოფია. ამტკიცებენ, რომ მაკედონიის კონგრესში მიხაილოვსკისა და ზონჩევის პარტიებმა სარაფოვის პარტიაზედ გაიმარჯვესო.

კიევი. დიდის ამბითა და აუარებელ ხალხის თანადასწრებით აკურთხეს განახლებული დიდი ეკლესია პეჩერის ლავრისა. ამ ეკლესიის განახლებას 800,000 მან. მოხმარდა, სამუშაო ნახევარ მილიონი დაჯდა.

დონის როსტოვი. გუშინ საღამოს დონის პირად დიდი ცეცხლი გაჩნდა: დაიწვა თევზის საწყობები და სხვ. ზარალი ნახევარ მილიონამდისაა.

პარიჟი. გენერალმა ანდრემ სიტყვა წარმოსთქვა ოსსონში, რომ კორპუსების უფროსებმა გამომიგზავნეს წერილები, რომელშიაც მათ თავის მხარეზედ გადაბირებას სცდილობს ერთი ტახტის მაძიებელიო.

პეკინი. ახლად გამოცემული იმპერატორის ბრძანება 23 სექტემბერს ნიშნავს საიმპერატორო სახლეულობის სიანფუში წასვლის დღედ. წინანდელ განკარგულებით ასეთ დღედ 19 აგვისტო იყო დანიშნული. წასვლა გადაიდვა წვიმისა და ცუდ გზების გამო.

ვიქტორია. (ბრიტანიის კოლუმბია) კანადის მშვიდობიანის საზოგადოების გემი ალისკის მახლობლად დაეჯახა ყინულის მთასა და დაიძირა. 65 კაცი დაიხრჩო. 107 კაცი გადარჩა და წარსულ ღამეს აქ მოიყვანეს.

ლონდონი. „Times“-ს პეკინიდგან დეპეშით ატყობინებენ 5 აგვისტოს: „გუშინ ჩინელების რწმუნებულთ ოფიციალურად ჩააბარეს ოქმის ტექსტი. ლიხუნგ-ჩანგმა მაშინვე გაუგზავნა მათ ნოტა, რომელშიაც რამდენსამე მოსაზრებას აცხადებს ოქმის წინააღმდეგ. ელჩებმა დღესვე უპასუხეს, რომ ამ საგანს ხელ-ახლა არ დაუბრუნდებითო, რადგანაც ოქმის ტექსტი საბოლოოდ უნდა ჩაითვალოსო. ჩინეთის რწმუნებულთ იმედი აქვთ, რომ შაბათს რანფუდგან მიიღებენ მონდობილებას ოქმზედ ხელის მოწერისას.

ცეტინიე. გუშინ იმპერატორის ფრანც-იოსების დაბადების დღის გამო მთავრის სასახლეში სადილი იქმნა გამართული, რომელზედაც მთავარმა ნიკოლოზმა სადღეგრძელო მიირთვა და სთქვა: „აღვსილი უძლიერესის მადლობით და უპატივცემულესის მეგობრობით მისის უდიდებულესობის იმპერატორის ფრანც-იოსებისადმი, ამ ჩემ უძლიერეს მეზობლისადმი, მე სიხარულით მოველოდი ბედნიერს დღეს მისის დაბადებისას, რომ კიდევ ერთხელ გამომეცხადებინა ჩემი ერთგულება მისის უავგუსტოესის გვამისადმი და ჩემი სურვილი მისდა სადღეგრძელოდ. მე გიწვევთ ყველა აქ შეკრებილ დარბაისელთა და დიპლომატიურს კორპუსს მიირთვათ მისის უდიდებულესობის სადღეგრძელო. გაუმარჯოს მისს უდიდებულესობას იმპერატორსა და მეფეს ფრანც-იოსებს!“ სამხედრო მუსიკალურმა გუნდმა ავსტრიის ეროვნული საგალობელი შეასრულა.*)

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ გამოქვეყნებულია ბრძანება ჩრდილო-დასავლეთისა და ბელორუსთა გუბერნიებში ერთ-მორწმუნეთ და „ძველ-მორწმუნეთა“ დასასახლებლად მიწის დათმობის შესახებ.

კიევი. ფინანსთა მინისტრმა კიევის ბირჟის კომიტეტს ჩამოართვა შაქრის ვაჭრობაზედ ოფიციალურ ბიულეტენის შედგენის უფლება, რათა უფრო კარგად მოწეს-რიგდეს შაქრის ვაჭრობის საქმე, რომელიც გადაეცა სააქციზო გადასახადთა გამგეს. ბიულეტენის რედაქტორობა და შედგენა დაევალა გოფ-მაკლერს.

პეკინი. ბრიტანიის ელჩმა სატოუმ აცნობა ჩინეთის რწმუნებულთ, რომ თუ ახლავე არ იქმნენ დასჯილნი ჯოუ-ჯოუში კვლელობის მოთავენი, მაშინ ინგლისი კიდევ მოიფიქრებს, გაიყვანოს თავისი ჯარი თუ არაო.

* * *

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილით 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საავარაკო მატარებლები:

საავარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საავარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

---

*) ყველა ზემოყვანილი დეპეშა დაგვიანებულია.

განცხადებანი

სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა.

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13

(10—35—7)

წყალ-წმინდის ძმობა

ამ აგვისტოს თვიდგან იყვანს შეგირდებს. ობლებსა და ღარიბებს უფასოდ მიიღებს, ხოლო შეძლებულებს გამოერთმევათ წელიწადში ორმოც მანეთამდე. ყოველივე ხარჯი ძმობისა იქნება. ბავშვი თერთმეტი წლისაზე ნაკლები არ უნდა იყოს. უმთავრესად მეურნეობას ასწავლიან. ასწავლიან აგრეთვე გალობასაც ნოტებით. მსურველებმა უნდა მიმართონ ამავე ძმობის მმართველს სიმონ ქორიძეს სუფსა-ნატანების რკინის გზის სადგურის მახლობლად.

3—1.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების **გამგეობა** იწვევს მსურველთ (ქალებსა და ვაჟებს)

სცენაზედ

სამსახურისათვის

(მსახიობებად).

მსურველნი მიჰმართავენ საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ-დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (5—6.—5)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

ტელეფონი № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т- во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—80)

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—14)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.